პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---თებერვალი 2017 წელი

ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ნადიკვრის II დასახლების ქუჩისთვის, მასთან არსებული უსახელო ჩიხებისთვის, შესახვევისთვის და გასასვლელისთვის მწერალი, პუბლიცისტი ნოდარ ტაბიძის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) კრწანისის რაიონში, ნადიკვრის II დასახლების ქუჩას, მასთან არსებულ უსახელო ჩიხებს, შესახვევს და გასასვლელს მიენიჭოს მწერალი, პუბლიცისტი ნოდარ ტაბიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

X:484,990.098
Y:4,614,587.596
X:484,923.952
Y:4,614,559.484
X:484,990.093
Y:4,614,539.640
I გას.
II Bobo
X:484,950.411
Y:4,614,534.348
X:485,041.031
Y:4,614,506.236
I Bobo
X:485,056.244
Y:4,614,461.588
X:485,165.716
Y:4,614,408.671
წოდარ ტაბიძის ქ.
X:485,053.268
Y:4,614,421.570
I შეს.
X:485,198.600
Y:4,614,394.760

02/798

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ქ-ნ ლ. ჯახველაძეს

გთხოვთ განიხილოთ.

გიორგი ალიხეგაშვილი
04.10.16წ.

№07/17578
04.10.16წ.

ააიპ საქართველოს მწერალთა
შემოქმედებითი კავშირი

CREATIVE UNION OF GEORGIAN
WRITERS

საქართველო, თბილისი, მწერალთა სასახლე, ივ. მაჩაბლის №13
13 Iv. Machabeli st. The Writer's Palace, Tbilisi, Georgia
ტელ. Tel. 230 78 23, 230 78 24
mako_gona@mail.ru

№ 80/01

3 ოქტომბერი
„—·—" ———————— 2016 წ.

ქალაქ თბილისის მერს,
ბატონ დავით ნარმანიას,

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს,
ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

მოგეხსენებათ, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, პუბლიცისტი და ლიტერატურისმცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ ტაბიძე.

ბატონი ნოდარი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტსა და პრესის თეორიისა და პრაქტიკის კათედრას, რითაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ქართველ ჟურნალისტთა მრავალი თაობის აღზრდაში.

ასევე განსაკუთრებულია პროფესორ ნოდარ ტაბიძის წვლილი ქართული ჟურნალისტიკისმცოდნეობის განვითარებაში - მისმა ნაშრომებმა ამ დარგში ჭეშმარიტად ახალი ეტაპი შექმნეს.

დიდი გალაკტიონის უსაყვარლესმა ძმისწულმა ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო გალაკტიონოლოგიის დაფუძნებასა და განვითარებას.

ბატონი ნოდარი გახლდათ საქართველოს მწერალთა კავშირის, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის საამაყო წევრი - ილია ჭავჭავაძის, ვაჟა - ფშაველას, ნიკო ნიკოლაძის პრემიების ლაურეატი, სხვა არაერთი ჯილდოს მფლობელი.

პროფესორი ნოდარ ტაბიძე მართლაც რომ ამშვენებდა ჩვენს საზოგადოებას - ჯიშით, გენეტიკით, ინტელექტით, დიდი შინაგანი კულტურითა და პიროვნული ხიბლით.

პროფესორ ნოდარ ტაბიძის გამორჩეული ღვაწლი უდავოდ იმსახურებს იმას, რომ თბილისის ერთ - ერთ ქუჩას მისი სახელი ეწოდოს, ხოლო სახლზე, სადაც განსვენებული ცხოვრობდა, გაიხსნას მემორიალური დაფა.

გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული საკითხი და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება, რაც გაამართლებს დიდი ვაჟა - ფშაველას სიტყვებს: „ჩვენ განთიადად მიგვაჩნია, როცა ერი თავის ღირსეულ შვილს ღირსეულად აფასებს"...

პატივისცემით,

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი
კავშირის თავმჯდომარე

მაყვალა გონაშვილი,

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი
კავშირის თავმჯდომარე

ჰამლეტ გეგია

№ 07/17578
"04" ... 2016 წ.



ნოდარ ტაბიძე
(1930-2016)
მწერალი და პუბლიცისტი, პროფესორი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მწერალი და პუბლიცისტი ნოდარ ტაბიძე წლების განმავლობაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი იყო. ნოდარ ტაბიძემ ბიძის, პოეტ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების შესახებ რამდენიმე წიგნი გამოაქვეყნა. ასევე იყო გალაკტიონის შემოქმედების მკვლევარი და გალაკტიონ ტაბიძის მუზეუმის მთავარი კონსულტანტი.

ნოდარ ტაბიძე დაჯილდოებული იყო გალაკტიონ ტაბიძის, სერგეი მესხის, ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიებით.